

დიალექტური
ფრაგეოლოგიური ლექსიკიდან
(მესხურ-ფერეიდნული მასალა) – I
FROM THE DIALECT PHRASEOLOGICAL
DICTIONARY (MESKHETIAN AND
FEREYDANIAN MATERIAL) – I

ჟუჟუნა ფეიკრიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Zhuzhuna Peikrishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The study of phraseological units is very valuable for the history of the dialects of the Georgian language, as they show the general expressive power of the language, the result of people's observation of the nature and social environment, preserve the words of centuries and revive the way of life of the linguistic collective.

The paper presents a comparative analysis of several idioms based on the data of Meskhetian and Fereydanian dialects. The discussion about Meskhetian is based on the speech of Akhalsheni, a new village surrounded by Kvemo Imereti (Khoni district). Its native speakers are the Meskhetians who migrated from South Georgia, particularly the Adigeni-Akhaltsikhe regions, 100 years ago. On the other hand, Fereydanian refers to the speech of hundreds of thousands of Georgians who were taken captive to Persia and settled in Fereydan 400 years ago.

Due to the geographical and historical context, the Meskhetian dialect spoken in Akhalsheni exhibits many similarities with Fereydanian. This is why the interpretation of certain forms, still preserved in our speech as idioms but completely incomprehensible to modern people, has become possible by considering the data from Fereydanian.

These include:

1. napašvarze iğriale (Meskhetian), cf. napašvari (Fereydanian);
2. p'irs pargali ara akvs (Meskhetian), cf. p'irlavaša (Fereydanian);
3. pušruk'i orklit šeecia (Meskhetian), cf. pušruk'i (Fereydanian).

There is potential for future research to uncover additional interesting forms within the subject area.

საკვანძო სიტყვები: ქართული დიალექტური ლექსიკა, ფრაგეოლოგიზმები მესხურ და ფერეიდნულ დიალექტებში.

Keywords: Dialects of the Georgian language, Meskhetian and Fereydanian, analysis of phraseologisms.

შესავალი

ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ ი დიალექტი უცხოენოვან გარემოცვაში მოქცეული დიალექტური კუნძულია ისპაჰანის მახლობლად, ფერეიდნის პროვინციაში, სადაც 400 წლის წინათ სპარსეთის შემოსევების შედეგად საქართველოდან ტყვედწაყვანილი ასიათასობით ქართველი ჩაასახლეს. ირანში იძულებით მოხვედრილმა ფერეიდნელმა ქართველებმა წინაპრების კვალად დღემდე შეინარჩუნეს ქართული სული, დედასამშობლოსა და დედაენის გაუნელებელი სიყვარული და უსაზღვრო მოკრძალება.

ფერეიდნული დიალექტი ქართული ენის ძვირფასი ნაკრძალია. მისი შესწავლა დაიწყო დაახლოებით ასი წლის წინ. 2004 წლიდან სამეცნიერო მივლინების ფარგლებში ქართველი მეცნიერების მიერ ფერეიდნში ჩატარებული სავსელე სამუშაოების შედეგად მოპოვებული დიდძალი მასალის საფუძველზე გამოიცა მეტად ფასეული წიგნები: „ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი“ (2018), მონოგრაფია „ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი“ (2020), „ფერეიდნული ქრონიკები“ (2020) და სხვ.

მ ე ს ხ უ რ ი ს შესახებ ჩვენი მსჯელობა ემყარება ქვემოიმერეთში (ხონის რაიონში) 1910 წელს ადიგენი-ახალციხის რაიონებიდან საკუთარი სურვილით გადმოსახლებული კათოლიკე მესხების მიერ დაარსებული ახალი სოფლის – ა ხ ა ლ შ ე ნ ი ს მცხოვრებთა მეტყველებას. მასზე საგანგებო დაკვირვება დაიწყო 1960 წლიდან – სტუდენტობიდან. ჯერ ჩემი ლექტორების, შემდეგ პროფესორების: ვარლამ თოფურიასა და ივანე ქავთარაძის მითითებით სოფლის პირველმოსახლეთაგან ვიწერდი მესხური კილოსათვის ნიშანდობლივ გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ ერთეულებს, კვლევის შედეგებს ცალკეული სტატიებით დროდადრო ვაცნობდი სამეცნიერო წრეებს, რომელთა შეფასებით, ახალშენელთა მესხური მეტყველება იმ დროისათვის იყო საინტერესო კვლევის ობიექტი, სპეციალისტებისთვის – სრულიად ახალი, უცნობი მასალა.¹

იმერულ გარემოცვაში მოქცეულმა მესხურმა მეტყველებამ თავისი ასწლიანი ისტორიის პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, თავდაპირველ მოსახლეთა ს უ ფ თ ა მ ე ს ხ უ რ ი მეტყველება დღეს თითქმის აღარ არსებობს როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული. აქედან გამომდინარე, საშური საქმეა აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი მესხურის თავისებურებათა ზუსტი აღწერა-ანალიზი მათ გვერდით უკვე მომრავლებული იმერიზმების ფონზე. შესაბამისად, უნდა მოხდეს სოფლის მეტყველების რეალური ადგილის განსაზღვრა ქართული დიალექტების არეალში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო და ფასეული ჩანს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ჩვენება.

მეთოდოლოგია

კვლევისას გამოყენებულია აღწერის, შედარებისა და ანალიზის მეთოდები. აღწერილი და გაანალიზებულია ქვემოიმერეთში, სოფელ ახალშენში მცხოვრებ მესხთა მეტყველებაში დადასტურებული რამდენიმე იდიომი. ახალშენელთა მესხური მეტყველება, გეოგრაფიული თუ

¹ მოგვიანებით ამ ნაშრომების საფუძველზე დაიწერა ჩემი წიგნები: „მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა“ (ქუთაისი, 1992), „მესხურ და იმერულ დიალექტთა შერევა ახალშენის მეტყველებაში“ (თბ., 2007).

ისტორიული ვითარების გამო, ბევრ საერთოს ავლენს ფერეიდნულ კილოსთან, ამიტომაც, რომ ჩვენს მეტყველებაში იდიომების სახით ჯერ კიდევ დაცული, მაგრამ თანამედროვეთათვის სრულიად გაუგებარი, ზოგიერთი სიტყვისა თუ მთლიანი იდიომის ახსნა-დაზუსტება შესაძლებელი გახდა ფერეიდნულის მონაცემთა გათვალისწინებითაც.

მსჯელობა

საანალიზოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს; პირველად ვასახელებთ მესხურის მასალას, შემდეგ – ფერეიდნულისას.

ნ ა ფ ა შ ე ვ ა რ ზ ე ი ღ რ ი ა ლ ე – გადატ. პირში ჩალაგამოვლებული დარჩები. „დროზე რო არ ამოიტანე კანტორიდან სიმინდი, სხვიებს წაუღიათ. მიდი ახლა და ნ ა ფ ა შ ე ვ ა რ ზ ე ი ღ რ ი ა ლ ე (ფეიქრიშვილი 1992: 63).

შდრ. ნ ა ფ ა შ ე ვ ა რ ი – პირუტყვის ნაწლავებისგან დაცლილი მუცელი. „ერთ ცხორ რა აქ: თავ-ფეკი, ფ ა შ ი, გულ-ლიძლი, თირკმელები, ნ ა ფ ა შ ე ვ ა რ ი, ნაწლევი, ქაჩაჩები; პირიტყის მუცელს რო დაჰცლიან, ნ ა ფ ა შ ე ვ ა რ ი ჰქვია (ბერიძე... 2018: 220).

ჩანს, ფერეიდნული ქართველისათვის „ფაში“ და „ნაფაშვარი“ სხვადასხვაა: **ფაში** ძირითადი მნიშვნელობით არის იგივე კუჭი ანუ მთლიანი მუცლის ერთი (ზედა) ნაწილი (იხ. ქეგლ. მნიშვნ.2), ხოლო **ნაფაშვარი** ნ ა წ ლ ა ვ ე ბ ი ს ა გ ა ნ დ ა ც ლ ი ლ ი მ უ ც ე ლ ი ა.

ნ ა ფ ა შ ე ვ ა რ ი ახალშენელთა მეტყველებაში ცალკე სიტყვად არ გამოიყენებოდა, მაგრამ იგი ზმნურ ნაწილთან ერთად ხშირად ხმარებული იდიომი იყო თავისი „კონტექსტთან მორგებული“ გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვა „ნაფაშვარი“ ვერ დავადასტურეთ სხვა დიალექტებში, არ იყო შეტანილი სპეციალურ ლექსიკონებში, რაც გარკვეულად ართულებდა მთლიანი იდიომის ამოსავალი მნიშვნელობის გარკვევას. ერთი შეხედვით, საანალიზო სიტყვა შეიძლებოდა მიგვეჩნია **ფაში**-საგან **ნა-არ** - კონფიქსით მიღებულ წინავითარების სახელად (ნა-ფაშ-არ-ი), მაგრამ იდიომის შინაარსი და გამოყენების კონტექსტი ამოსავლად ფაშის მიჩნევას ნაკლებ სარწმუნოს ხდიდა. კონტექსტი კი ასეთი იყო: ჩვენი სოფლის კანტორის ეზოში იდგა პატარა შენობა – საწყობი (სოფლის ყოფილი სამლოცველო), რომელშიც ინახებოდა კოლმეურნეობის წევრებზე დასარიგებელი სიმინდი, მაგრამ, თუკი ვინმე (სოფლელი) დროზე ვერ გაიტანდა თავის კუთვნილ სიმინდს, შეიძლებოდა სხვას წაეღო. ამიტომ მავანი რომ მივიდოდა საწყობში თავისი სიმინდის წასაღებად და იგი აღარ დახვდებოდა გამოცარიელებულ საწყობში, მაშინ ნიშნის მოგებით ეტყოდნენ: „მიდი ახლა და ნაფაშვარზე იღრიალე“.²

ამჯერად ფერეიდნულთა ნ ა ფ ა შ ე ვ ა რ ი ს (ანუ ნაწლავებისგან დაცლილი მუცლის) და ახალშენელთა იდიომის კომპონენტის – ნ ა ფ ა შ ე ვ ა რ ი ს (იგივე „სიმინდისაგან დაცლილი საწყობის“) ფორმოზრიგ-სემანტიკური მსგავსების გათვალისწინებით უფრო დაზუსტდა საკვლევი იდიომის ამოსავალი მნიშვნელობა; გარდა ამისა, იმასაც გვაპარაუდებინებს, რომ ნ ა ფ ა შ ე ვ ა რ ი უნდა იყოს ქართული ენის არქაული სიტყვა,

² ეს იდიომი მოხუცთა მეტყველებაში დღესაც გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში („თუ არ დაემორჩილები შენი უმფროსის სიტყვას, გამოგადებს სამსახურიდან, ხახამშრალი დარჩები, მერე მ ი დ ი და ნ ა ფ ა შ ე ვ ა რ ზ ე ი ღ რ ი ა ლ ე ...“).

რომელიც მოგვიანებით ზოგ დიალექტში მთლიანად დაიკარგა, ზოგან იდიომის ნაწილად ქცეული შემოგვენახა დღემდე და ამ გზით „გადარჩა“, ფერეიდნელმა ქართველებმა კი იგი აქამდე შეინარჩუნეს თავდაპირველი სემანტიკით უცხოენოვან გარემოშიც.

პირს ფარგალი არა აქვს – გადატ. მავანის შესახებ ყველაფერს გაამჟღავნებს, საიდუმლოს არ შეუნახავს, გალანძღავს. „ხო იცი, რო ჩემ პირს ფარგალი არა აქვს, შემეშვი, თვარე ინანამ“ (ფეიქრიშვილი 1992: 66).

შდრ. პირლაგაშა – ვისთვისაც სიტყვაზე ლაგამი არ არსებობს, პირმყრალი. „პირლაგაშა – ისეთ სიტყვას იტყვიან უწმაწურს, ჩვენ არ ვიტყვით“ (ბერიძე... 2018: 232); „ჩონ მარტყოფჩი დამქეშნელ-თოლელთ, ბოინელთ და ახჩაველებს პირლაგაშაშე ვეძახით ყე... ესენი არიან გინებაზე განთქმულნი“ (ბერიძე... 2020: 266).

ამ ორი იდიომის საერთო ამოსავალი ფორმაა „პირი“. ჩანს, ორივე შემთხვევაში განმსაზღვრელია პიროვნების დამოკიდებულება ნათქვამისა და მისი ადრესატის მიმართ: მესხური მეტყველების მიხედვით, თუ პირი (იგივე პიროვნება) საუბრისას არ არის „შემოფარგლული“ ანუ „შემოსაზღვრული“ რაიმეთი (= გონების ჩარევით), მაშინ მისთვის ცუდსიტყვაობაც ადვილი იქნება. სხვაგვარად: პირი აღარ იქნება მის სიტყვებზე პასუხისმგებელი. თითქმის ანალოგიურია ფერეიდნელთა მხრიდანაც პირლაგაშას გააზრიანება: თუ პირი ფართოდ ანუ ლავაშის ზომაზე არის გაღებული და არა აქვს „ამოდეებული ლაგამი“, არაა „შემოსაზღვრული“, უწმაწურ სიტყვასაც არ დაერიდება.

ჩანს, საანალიზო ხატოვანი გამოთქმების მოტივაციის ძირითადი საფუძველია სოციალური გარემოსადმი ცალკეული ინდივიდების განსხვავებული დამოკიდებულება, რაც უმრავლესობისთვის ზოგადად მიუღებელია, მავანთათვის იგი დასაშვებია.

ფუმრუკი³ ორთქლით შეეწია – გადატ. უბრალოდ, ცალკეად დააწია ხმა, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებს. „დაეხმარა კი არა, მარტო ფუმრუკი ორთქლით შეეწია. წინასწარ ათას რამეს შეჰპირდა, მარა ჯერ კაპეციც არ მიუცია“ (ფეიქრიშვილი 1992: 77).

შდრ. ფუმრუკი – ფქვილისაგან მომზადებული მსუბუქი საჭმელი. „ფუმრუკი გავაკეთითყე, ყმაწვილებსათი ზამთრის რო ყმაწილი შაცივდეს; ფუმრუკი გავაკეთო... ემ ყმაწილ შამსცივებია“ (ბერიძე... 2018: 280).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ქართულში, მის დიალექტებში გამოყენებული ლექსიკური ერთეული ფუმრუკი არის:

1) ფქვილის შეჭამადი (საბა); 2) წყალში გახსნილი ფქვილი (ვ. სომხ., ლ. კაიშ.); 3) მოშუშული ფქვილისაგან დამზადებული შეჭამადი ფაფისებურად (ი. მაის.); 4) გაუცრელი ქერის პური (ი. ქეშიკ.); 5) ადუღებულ წყალში ამოკიდებული ფქვილი თხლად (გრ. ბერიძე)...

1960-იან წლებში ახალშენელთათვის ფუმრუკი კარგად ცნობილი საჭმელი იყო. ასე მზადდებოდა: „წინასწარ ტაფაზე უნდა მოშუშო

³ ამოსავალი ფორმა იქნებოდა „ფუმრუკის“. მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ს-ს დაკარგვა მესხურისათვის დამახასიათებელია. ამგვარი ფორმები (ჰადი ქბილი, სოფლი გზა, სიტყვი ძალა...) ხშირი იყო ახალშენელთა მეტყველებაშიც

პურიქილი; ცალკე ქვაფში მოსწვამ ერბოსა და ხახვს, მერე დაასხამ წყალს და ამოუკიდა მოშუშულ ქბილ იმ ზომით, რო თხელი იყოს, კოვზით საჭმელი. როცა წამოდუდდება, უხამ ცოტა მარილ და ფუშრუკის საჭმელიც მზათაა“.

ამრიგად, სიტყვა ფ უ შ რ უ კ ი ქართულში არსებობს, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, მაგრამ იგი **იდიომის კომპონენტად** მხოლოდ **მესხურშია** დადასტურებული. ჩანს, ახალშენელებმა მესხეთიდან იმერეთშიც გადმოიტანეს ფ უ შ რ უ კ ი/ფ უ შ რ უ კ ი ო რ თ ქ ლ ი თ შ ე ე წ ი ა და ორივე მათგანი კარგახანს შეინარჩუნეს. დროთა განმავლობაში „ფუშრუკი“ – კონკრეტული საჭმლის სახელი – თავის აღსანიშნთან ერთად დავიწყებას მიეცა. უფროსი თაობის გარდა, დღეს ახალშენში აღარავინ იცის, რომ ფუშრუკი იყო სწრაფად მოსამზადებელი, უბრალო, არანოყიერი („წყალწყალა“), მხოლოდ შინაურობაში საჭმელი კერძი, მაგრამ საშუალო ასაკის ადამიანებმაც ჯერ კიდევ იციან იდიომის – „ფუშრუკი ორთქლით შეეწია“ – მნიშვნელობა.

ბუნებრივად ისმის კითხვა – იდიომის სემანტიკისათვის როგორ გახდა ამოსავალი „ფუშრუკი“ და მისი „ორთქლი“? ამასთან დაკავშირებით წარმოდგენთ არსებულ სავარაუდო ვერსიებს:

1) ი ლ ი ა მ ა ი ს უ რ ა ძ ი ს დაკვირვებით, ფუშრუკი „ხარშვის დროს ფშვინვით ორთქლს უშვებს. აქედანაა გამოთქმა „ფუშრუკი ორთქლით ეწეოდაო“ – ნიშნავს, ცალი ყბით ეპატიჟებოდა“ (მაისურაძე 1954: 88);

2) „ფუშრუკი მოშუშული (მოხალული) ფქვილით კეთდება. ასეთ ფქვილს ორთქლიც არ ექნებოდა ძლიერი, ნორმალური. ე.ი. ფუშრუკის – წყალწყალა საჭმლის – ორთქლიც სუსტია. ასეა ადამიანიც, ვინც მოჩვენებით (ვითომ) „ეხმარება“ სხვას. საერთოდ, ეს გამოთქმა უკავშირდება ადამიანის ძუნწობას“ (ადიგენის რაიონის სოფელ არლის ხანდაზმულთა ვერსია)⁴.

3) ფერეიდნულ ლექსიკონში დამოწმებული კონტექსტის მიხედვით შეიძლება ასეთი ვერსიაც ჩამოყალიბდეს: ფუშრუკი არ არის მაწიერი (ნოყიერი) საჭმელი, მაგრამ ზამთარში შეციებული ადამიანი მისით ორთქლთან ერთად უფრო გათბება, ვიდრე დანაყრდება, ანუ სხვაგვარად: ფუშრუკი თავის ორთქლიანად, როგორც საჭმელი, „მოჩვენებითია“, იმ წუთებში უფრო გამთბობია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საანალიზო იდიომიც, ალბათ, ასე უნდა აიხსნას: ფუშრუკი ორთქლის, ანუ „დროებითი საშუალების“ მსგავსად ნებისმიერი ადამიანის სიტყვა სხვათა მიმართ შეიძლება იყოს ზერელე, მოჩვენებითი და არა – საქმიანი; ასეთებს მალევე ავიწყდებათ მათ მიერ გაცემული სიტყვიერი თანაგრძნობა გაჭირვებულთა მიმართ... როგორც ფუშრუკია უბრალო, არანოყიერი საჭმელი და მისი ორთქლიც სუსტი, ისეთივე ძალის (მნიშვნელობის) მქონე შეიძლება იყოს მავანის მიერ სიტყვიერად გაცემული დაპირება.

⁴ ინფორმაცია მოგვაწოდა იქაურმა მკვიდრმა, ჟურნალისტმა თავო ფეიქრიშვილმა. მადლობა მას და არლელ რესპონდენტებს.

დასკვნა

გაანალიზებულმა მასალამ აჩვენა, რომ ქვემო იმერეთში, სოფელ ახალშენში მცხოვრებ მესხთა მეტყველებამ, საუკუნის განმავლობაში განცდილი მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, დღემდე შემოინახა მესხური დიალექტისთვის დამახასიათებელი გამოთქმები. იდიომები ენის ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რამდენადაც ხატოვანი სიტყვა-თქმანი ათვალსაჩინოებენ ენის ზოგად გამომსახველობით ძალას, ბუნებასა და სოციალურ გარემოზე ხალხის დაკვირვების შედეგს, მის ნააზრევსა და ნაფიქრალს; ინახავენ საუკუნეებგამოვლილ სიტყვებს და აცოცხლებენ ენობრივი კოლექტივის ცხოვრების გზას.

დამოწმებული ლიტერატურა

ბერიძე... 2018: ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., ნახუცრიშვილი ნ., ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი. თბილისი, 2018.

ბერიძე... 2020: ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი. თბილისი, 2020.

მაისურაძე 1954: მაისურაძე ი., მასალები მესხური ლექსიკიდან. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1954.

ფეიქრიშვილი 1992: ფეიქრიშვილი ჟ., მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა. ქუთაისი, 1992.